Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, ივლისი, 2021

საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გეოგრაფიული თავისებურებები

მარეხი სისვაძე

თორნიკე კვარაცხელია

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: marekhi.sisvadze104@sps.tsu.edu.ge

E-mail: tornike.kvaratskhelia112@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

არჩევნების გეოგრაფია პოლიტიკური პარტიების ტერიტორიული გავლენების შესწავლის მნიშვნელოვანი საშუალებაა. მისი დახმარებით შეგვიძლია გამოვავლინოთ ის გეოგრაფიული განსხვავებები, რომლებიც არსებობს პოლიტიკურ სისტემაში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების ზემოქმედებით. მოცემული კვლევის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გეოგრაფიული ასპექტები. კვლევის პროცესში ძირითადი აქცენტი გაკეთდა ელექტორატის მიერ ხმის მიცემის ტერიტორიული თავისებურებების შესწავლაზე. ზოგადად, საქართველოში მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნები ნაკლებად პოპულარულია, როგორც ამომრჩევლებში, ისე ამ სფეროში მომუშავე მკვლევრებში. თუმცა, 2021 წლის არჩევნები ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს. მას ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვისთვის მთავრობასა და ოპოზიციური პარტიების ნაწილს შორის 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებით გარკვეულწილად „რეფერენდუმის“ მნიშვნელობა მიენიჭა. მთავარი საკვლევი კითხვა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კონკრეტულად რა გეოგრაფიული თავისებურებები გამოვლინდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე? კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა წინა წლების არჩევნებთან შედარებით შემცირდა, როგორც მთელი ქვეყნის ისე ცალკეული მუნიციპალიტეტების მასშტაბით. განსაკუთრებით იკლო მხადაჭერამ მსხვილ ქალაქებში. აღნიშნულ არჩევნებში, როგორც მთლიანობაში, ისე ცალკეული ოლქების მიხედვით საკმაოდ გაიზარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შემდეგ მთავარი ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერა პირველად მკვეთრად გაიზარდა დედაქალაქში. ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო ოლქების უმრავლესობაში მესამე ძალად წარმოჩინდა ახლად შექმნილი პარტია „საქართველოსთვის“, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

საკვანძო სიტყვები: არჩევნების გეოგრაფია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ხმის მიცემა, ელექტორატი.

შესავალი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე ჩატარდა. კრიზისი, რომელიც სამი წლის წინ რუსი პარლამენტარის საქართველოში ვიზიტით დაიწყო, ვერ დაასრულა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ეუთო ოდირის შეზღუდულმა სადამკვირვებლო მისიამ მთლიანობაში დადებითად შეაფასა, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ შედეგებს ბოიკოტი გამოუცხადა და უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე (2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, 2021). შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების

განმუხტვა სცადა ევროკავშირმა, რომლის მედიაციის შედეგად საბოლოოდ მმართველმა ძალამ და ოპოზიციური პარტიების ნაწილმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „სამომავლო გზა საქართველოსთვის“. ხელმოწერით მხარეებმა ვალდებულება აიღეს შეჩერებულიყო პოლიტიკური ნიშნით მართლმსაჯულების მავნე პრაქტიკა და განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი საარჩევნო, სასამართლო და ადმინისტრაციული რეფორმები, რომლებიც ქვეყნის სტაბილურ განვითარებას ხელს შეუწყობდა. აგრეთვე, შეთანხმების მე-5 პუნქტი “ქართულ ოცნებას” ავალდებულებდა 2022 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას იმ შემთხვევაში თუ პარტია 2021 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე პროპორციული წესით საერთო ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებდა. ამავე დოკუმენტით 4%-იანი საარჩევნო ბარიერი თბილისში 2,5%-მდე, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში 3%-მდე უნდა დაწეულიყო (მარიამ ლაცაბიძე, 2022). ამრიგად, მოულოდნელად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა, რომელსაც ქართული ელექტორატი შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ხოლმე, გარკვეულწილად რეფერენდუმის მნიშვნელობა შეიძინა. ამას თან ერთვოდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და წლების განმავლობაში დაგროვილი უკმაყოფილება სახელისუფლებო პარტიის მიმართ, ამიტომაც საკმაოდ საინტერესო იყო დამატებით იმ გეოგრაფიული თავისებურებების გამოვლენა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მოსახლეობის ელექტორალური ქცევის ჩამოყალიბებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შედეგებით წინა თვითმმართველობის არჩევნებისგან ძალზედ განსხვავდება და ემსგავსება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს. შესაბამისად, კვლევაში შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია ის ასპექტები თუ როგორ შეიცვალა მოსახლეობის ელექტორალური ქცევა და კონკრეტულად რა გეოგრაფიული თავისებურებები გამოვლინდა.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს საარჩევნო სისტემაში საკმაოდ ხშირად შედის ცვლილებები. სხვადასხვა დროს ქვეყანაში მცირდებოდა მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა, იცვლებოდა საარჩევნო ოლქების საზღვრები, ბარიერი და სხვ. მიუხედავად ამისა, გამართული საარჩევნო სისტემა, სადაც ამომრჩევლებს თანასწორი საარჩევნო უფლება ექნებათ დღემდე არ არსებობს.

ეუთო ოდირის სადამკვირვებლო მისია საკუთარ ანგარიშებში ყოველთვის ამახვილებს ყურადღებას ამ ფაქტზე და გვაძლევს მისი დახვეწის რეკომენდაციებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებისას მთავარი ხარვეზი არის ის, რომ კანონი საერთოდ არ განსაზღვრავს საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის კრიტერიუმებს. ამასთანავე, 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შემცირდა საკრებულოებში მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა და შესაბამისად შეიცვალა საზღვრები, რაც ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსს, რომლის თანახმადაც ცვლილებები უმჯობესია არჩევნებამდე დიდი ხნით

ადრე განხორციელდეს (ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2022).

საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის კრიტერიუმების არარსებობის შედეგად ქვეყანაში გვაქვს ალოგიკური ზომის საკრებულოები. მაგალითად, ყოვლად გაუგებარია რატომ შედგება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო 39 დეპუტატისგან, მესტიის ოცდაცამეტისგან, ხოლო დედაქალაქის ორმოცდაათისგან. მაშინ როდესაც გურჯაანში 51 461, მესტიაში 8 861, ხოლო თბილისში მილიონზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული. ჩვენი აზრით, აუცილებელია საარჩევნო ოლქების განსაზღვრის კრიტერიუმების შემუშავება, რაც, არა მხოლოდ საარჩევნო სისტემის დახვეწას შეუწყობს ხელს, არამედ შექმნის გამართულ ადგილობრივ თვითმმართველობას.

ამომრჩეველთა ქცევაზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას. სხვადასხვა ქვეყანაში არჩევნების შედეგების შესწავლისას მკვლევრები ძირითადად ცდილობენ სწორედ მათ გამოვლენას და მათი საშუალებით არსებული გეოგრაფიული ტენდენციების ახსნას. არაერთი კვლევით დადასტურდა, რომ რელიგია, ეთნოსი, დასახლების ტიპი და სოციალური კავშირები როგორ წესი მოსახლეობის ელექტორალური ქცევის მთავარ დეტერმინანტებს წარმოადგენენ.

მანჰაიმის უნივერსიტეტის პროფესორი მარტინ ელფი სტატიაში „სოციალური სტრუქტურისა და ელექტორალური ქცევის შედარებითი პერსპექტივა: სოციალური დაპირისპირების დაკნინება და აღორძინება დასავლეთ ევროპაში“ განიხილავს თუ როგორ იცვლებოდა დასავლეთ ევროპელი მოსახლეობის ელექტორალური ქცევა 1975-2002 წლებში (Elff, 2007). ავტორი ცდილობს გაარკვიოს თუ რა გავლენას ახდენს რეგიონის ელექტორატზე სეიმურ ლიპსეტისა და სტინ როკანის მიერ აღწერილი საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებები. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო - ეკლესიასა და მესაკუთრე - მშრომელს შორის დაპირისპირებაზე. ამ პერიოდში მეცნიერთა საკმაო ნაწილი თვლიდა, რომ სოციალურ ფენას ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის განათლების დონის გაზრდითა და მასმედიის საშუალებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით. ზოგიერთი მკვლევრის თანახმად ელექტორატის ქცევაში დაპირისპირების თეორიის შესუსტება გამოწვეულია საზოგადოებაში გაჩენილი ახალი ღირებულებებით, რომლებიც თავის მხრივ ახალ კონფლიქტებს წარმოშობენ. თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში ძირითადად მატერიალისტებსა და პოსტმატერიალისტებს შორის მიმდინარეობს დაპირისპირება და ამომრჩეველი მათ გარშემო ჯგუფდება. ავტორი საბოლოო ჯამში უპირისპირდება მათ და თვლის, რომ ელექტორატის ქცევაზე სოციალური ფენის ზემოქმედების შემცირების მიუხედავად, მას კვლავ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (Elff, 2007).

მრავალი მეცნიერი სწავლობდა იმას, თუ რა კავშირი არსებობს სოციალურ იდენტობასა და ამომრჩეველთა ქცევას შორის. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტატია - “Social Identity and Voting behavior” (Ben-Bassat, 2012), რომელშიც იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი ავი ბენ ბასატი არაბული საზოგადოების მაგალითზე იკვლევს ელექტორალურ ქცევასა

და სოციალურ იდენტობას შორის არსებულ კავშირებს. ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს სოციალურ კავშირებს ამომრჩეველთა ქცევის ჩამოყალიბებაზე, რადგან ხშირ შემთხვევაში ელექტორატი მიდრეკილია იმისკენ, რომ ხმა მისცეს იმ კანდიდატს, რომელიც მათი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელია და შესაბამისად მასთან მჭიდრო სოციალურ-კულტურული კავშირები აქვს. გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სტატიის მიხედვით კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა ხმის მიცემის პარადოქსის ამოხსნის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ გზად გვევლინება. მრავალრიცხოვან ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერთ ხმას არ შეუძლია არჩევნების შედეგის შეცვლა, ამიტომ ასეთ ქვეყნებში პოლიტიკური მონაწილეობის დონე ძალიან დაბალია. ამის საპირისპიროდ, სოციალური იდენტობის თეორიის თანახმად, კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობამ შეიძლება ფუნდამენტურად შეცვალოს არჩევნებზე ზემოქმედების ალბათობა, რამეთუ კონკრეტული ინდივიდის ელექტორალური ქცევა მისი სოციალური მიკუთვნებულობიდან გამომდინარეობს. ავტორის აზრით, ეს გულისხმობს იმას, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, რომელშიც იგი ცხოვრობს. კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც შეეხებოდა ისრაელის ადგილობრივ არჩევნებს, ცალსახად აჩვენა პოლიტიკურ მონაწილეობაზე ჯგუფური კუთვნილების გავლენა. მაგალითად, არაბული მოსახლეობა ერთიანდებიან ჯგუფებში, რომლებსაც ჰამულები ეწოდება. ჰამულას ანთროპოლოგები განსაზღვრავენ, როგორც ჯგუფს რომელთა წარმომადგენლებსაც აქვთ საერთო წარმომავლობა და მჭიდრო სოციალური კავშირები ერთმანეთთან. ხოლო, ისრაელის ადგილობრივი არჩევნების დროს ამომრჩევლები იმ კანდიდატს უჭერდნენ მხარს, რომელიც მათ ჰამულას წარმოადგენდა, შესაბამისად, სოციალური კუთვნილებიდან გამომდინარე კანდიდატები იღებდნენ უფრო მეტ ხმებს იმ ჰამულებიდან, რომლებთანაც მათ მჭიდრო სოციალური კავშირები გააჩნდათ. შესაბამისად, ადამიანები რომლებიც გრძნობენ რომელიმე ჯგუფისადმი ძლიერ მიკუთვნებულობას უფრო მეტად მონაწილეობენ არჩევნებშიც, და მათი აქტივობაც უფრო მაღალია(Avi Ben-Bassat, 2012).

მკვლევარ მიხეილ შავთვალაძის შეფასებით საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ეთნიკურ უმცირესობებში, განსაკუთრებულად კი აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში, საგრძნობლად გაიზარდა პოლიტიკური ჩართულობა (Shavtvaladze, 2018). ავტორის აზრით ამის ძირითადი მიზეზია, საგანმანათლებლო რეფორმების შედეგად აღნიშნულ რაიონებში განათლების დონის ზრდა, შესაბამისად, მისი აზრით გაიზარდა პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობაც. ასევე, 2016 წლის ადგილობრივ არჩევნებში საკმაოდ მაღალი იყო აქტივობა, სომხებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ დღეისათვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები სახელისუფლებო პარტიის - ქართული ოცნების ძლიერ მხარდამჭერებად გვევლინებიან, რაც მიხეილ შავთვალაძის აზრით აქ ქართული ოცნების მიერ გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგადია (Shavtvaladze, 2018).

ჯუნიჰი კიოგოკუს სტატიაში "ხმის მიცემაში საქალაქო-სასოფლო განსხვავებები ომისშემდგომ იაპონიაში" აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იაპონიაში სოფლის მოსახლეობას უფრო მაღალი პოლიტიკური ცნობიერება ჰქონდა და ისინი უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი არჩევნებში მონაწილეობისკენ. რაც თავის მხრივ, ძალზედ საკვირველი იყო, რადგან განათლებული, დამოუკიდებლად მოაზროვნე და დემოკრატიული მოქალაქეები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ აზრს აფიქსირებენ ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედების გარეშე არც თუ ხშირად გვხვდებოდნენ იაპონიის სოფლებში. თუმცა, სასოფლო ელექტორატში ჩატარებული მრავალი საველე კვლევების ანალიზის საფუძველზე აშკარა ტენდენცია ფიქსირდებოდა, ისინი ვინც სოფლად ცხოვრობდნენ ზოგადად უფრო ნაკლები ფორმალური განათლება ჰქონდათ და დასმულ კითხვებზე უფრო მეტად პასუხობდნენ „არ ვიცი" ვიდრე საქალაქო დასახლებებში. გარდა ამისა, იაპონიაში გამოვლინდა ტენდენცია, რომ ხმის მიცემა უფრო მოვალეობასთან ასოცირდებოდა, ვიდრე აზრის თავისუფლად გამოხატვასთან. შესაბამისად, ამომრჩეველთა გონებაში ღრმადა იყო ჩარჩენილი აზრი, რომ არჩევნებში მონაწილეობა თავისთავად ღირებულ მიზანს ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, ავტორი არ კამათობს იმაზე სასოფლო დასახლებებშიც შეიძლება იყოს მაღალი პოლიტიკური შეგნება, მაგრამ აქ მისი აზრით განსაკუთრებით მძაფრად ვლინდება სოციალური ზეწოლის ფაქტორი. გარდა ამისა, ამ პერიოდში ადგილობრივი არჩევნების შემთხვევებში, ამომრჩეველთა მობილიზება ხდებოდა არა მარტო პოლიტიკურ პარტიათა მიერ, არამედ სხვა არხებითაც, ესენია სოციალურ-კულტურული ფაქტორები: ნათესაური, მეგობრული, სამსახურებრივი თუ სხვა სახის კავშირები. ეს ყველაფერი კი იქიდან გამომდინარეობდა, რომ ამ ტიპის საზოგადოებებში კონკრეტული სოციუმისადმი კუთვნილება მაღალი ხარისხით ვლინდებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ როგორც ვიცით, ხმის მიცემის პროცესი არის კონფიდენციალური, მაგრამ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს მაინც შეეძლოთ იმის განსაზღვრა თუ ვინ მისცემდათ მათ ხმას და ვინ არა. ეს სრულებითაც არ იყო რთული გასარკვევი, განსაკუთრებით კი სასოფლო დასახლებებში, სადაც მოსახლეობის კეთილგანწყობისა და ლოიალობის მოპოვება საკმაოდ ადვილია მათთვის მიზერული დახმარების შეთავაზებითაც კი. გარდა ამისა, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებშია გავრცელებული ე.წ კოორდინატორების არსებობა. შესაბამისად, სასოფლო დასახლებებში საკმაოდ ადვილია შედეგების პროგნოზირება, მაშინ როცა ქალაქების დონეზე ამის პროგნოზირება ძალიან რთული იყო. გარდა ამისა, ომის შემდგომ იაპონიაში ამომრჩევლებს შორის ხშირად არსებობს გაურკვევლობა „პარტიასა" და „პიროვნებას" შორის. კვლევების თანახმად, ამომრჩევლები ხშირად მხარს უჭერენ პარტიას და შესაბამისად, ბრმად აძლევენ ხმას იმ კანდიდატს, რომელსაც პარტია წარადგენს. ასევე, არსებობს ამომრჩეველთა მეორე ჯგუფიც, რომელთა წარმომადგენლებმაც ცოტა იციან პოლიტიკური პარტიების ანდა პარტიული პოლიტიკის შესახებ და ხმას აძლევდნენ რომელიმე გამოჩენილ პიროვნებას. ასევე, კვლევებით დადგინდა რომ ურბანული არეალების წარმომადგენლები უფრო აცნობიერებდნენ პარტიულ იარლიყებს, ხოლო სოფლის ამომრჩევლების არჩევანზე დიდ გავლენას ახდენდა პიროვნული ფაქტორი(Jun'ichi Kyogoku, 1960).

კვლევის მეთოდოლოგია

საკითხის კვლევისას გამოყენებულია სტატისტიკური და შედარებითი ანალიზის მეთოდები. გეოგრაფიული თავისებურებების გამოსავლენად არჩევნების შედეგები განხილულია რეგიონების, მსხვილი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ჭრილში. ანალიზის გასამარტივებლად და შედეგების ვიზუალიზაციისთვის გეოგრაფიულ ინფორმაციული სისტემებისა და კარტოგრაფიული მეთოდების დახმარებით შეიქმნა ციფრული რუკები და დიაგრამები, ამისთვის კი გამოყენებულ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული პირველადი ინფორმაციის დამუშავების, შედარებისა და ანალიზის მეთოდები.

დისკუსია და შედეგები

„ქართულმა ოცნებამ“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პროპორციული წესით მიიღო საერთო ხმების 46,7% და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ჩატარების საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგიდან მთლიანად მოიხსნა. მიუხედავად ამისა, პარტიისთვის აღნიშნული არჩევნები წარმატებული ნამდვილად არ იყო, რადგან მხარდაჭერა შემცირდა როგორც 2017 წლის მუნიციპალურ ორგანოთა, ისე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან შედარებით “ქართული ოცნების” მიღებული ხმების პროცენტული წილი 73 მუნიციპალიტეტიდან 65-ში შემცირდა, მათგან 28 საარჩევნო ოლქში 10 პროცენტულ პუნქტზე მეტით. აგრეთვე, თუ 2017 წელს პარტიამ ყველა საკრებულოში უმრავლესობა მოიპოვა და მისი კანდიდატები მხოლოდ ორი თემის მერობის არჩევნებში დამარცხდნენ, 2021 წელს 8 საკრებულოში, მათ შორის ორ მსხვილ ქალაქში ბათუმსა და რუსთავში მან უმრავლესობის მოპოვება ვერ შეძლო, ხოლო ქალაქ წალენჯიხის მერის არჩევნებში დამარცხდა. ოთხწლიან საარჩევნო ციკლში, როგორც ჩანს მმართველმა ძალამ ვერ გაამართლა თავიანთი ელექტორატის მოლოდინები, რაც პირდაპირ აისახა მის შედეგებში (მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნები, 2020-2021).

უშუალოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით “ქართული ოცნების” მხარდაჭერა რეგიონების უმრავლესობაში შემცირდა. მათ შორის მკვეთრად 10,4%-ით სამეგრელოში. აგრეთვე, საკმაოდ შემცირდა პარტიის მიღებული ხმების პროცენტული წილი სვანეთი-რაჭა-ლეჩხუმში (5,8%-ით), რომლის ელექტორატიც მმართველი ძალის ერთ-ერთი ძლიერი მხარდამჭერი იყო. 2021 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ეთნიკური უმცირესობა სომხებით კომპაქტურად დასახლებული ჯავახეთის რეგიონში კვლავ სახელისუფლებო ძალის ძლიერი მხარდამჭერია. აღსანიშნავია, რომ აქ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით 12,3%-ით გაიზარდა.



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2021 - "ქართული ოცნების" მიღებული ხმები საარჩევნო ოლქების მიხედვით

„ქართულ ოცნებას" მხარდაჭერის მოპოვება უჭირს როგორც მსხვილ, ისე მცირე ქალაქებში. 10 მუნიციპალიტეტის(ქობულეთი, ზუგდიდი, სენაკი, სამტრედია, ზესტაფონი, ახალციხე, გორი, ხაშური, მარნეული, თელავი), სადაც საქალაქო დასახლებებში 15 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, შედეგების ანალიზისას კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მმართველ ძალას სასოფლო ელექტორატი უფრო მეტად უჭერს მხარს ვიდრე საქალაქო.



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2021 - „ქართული ოცნების“ მიღებული ხმები მუნიციპალიტეტებში საქალაქო-სასოფლო ამომრჩევლების მიხედვით

აგრეთვე, პარტიის მხარდაჭერა შემცირებულია მსხვილ ქალაქებშიც. აღსანიშნავია, რომ ბათუმისა და რუსთავის საკრებულოებში „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობის მოპოვება ვერ მოახერხა.

უშუალოდ დედაქალაქში მმართველი ძალის მიღებული ხმების პროცენტული წილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით 1,4%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ხმებმა ძირითადად იკლო ცენტრალურ უბნებში: ვაკესა და საბურთალოზე, რომელთა ელექტორატი აქამდე პარტიის ძლიერი მხარდამჭერები იყვნენ. დანარჩენ საარჩევნო ოლქებში ხმები უმნიშვნელოდ შეიცვალა.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საკმაოდ წარმატებულად იასპარეზა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“. ერთი წლის წინ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით პროპორციული წესით პარტიის მიღებული ხმები 3,5%-ით გაიზარდა და 30,7% შეადგინა.

პარტიის მიღებული ხმების პროცენტული წილი მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის გარდა, სადაც მხარდაჭერა უმნიშვნელოდ შემცირდა, ყველა რეგიონში გაიზარდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე მეტი მხარდამჭერი კვლავ ჰყავს აჭარის, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონებში, რომლებშიც საერთო ხმების 35%-ზე მეტი მოიპოვა. ხოლო ყველაზე ნაკლებად მხარს კვლავ ეთნიკურად სომხებით კომპაქტურად დასახლებული ჯავახეთის რეგიონი უჭერს. ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში პარტიის მხარდაჭერა მცირედით შემცირდა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს რაიონები კვლავ ორპოლუსიანია.



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2021 - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიღებული ხმები საარჩევნო ოლქების მიხედვით

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერა 4-დან 7,5-მდე პროცენტით გაიზარდა ყველა მსხვილ ქალაქში. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად (7,5%-ით) ხმების წილმა მოიმატა ქალაქ ქუთაისში.

რაც შეეხება თბილისს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აქ პარტიის მხარდაჭერა პირველად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ზრდა დაფიქსირდა ყველა უბანში და ჯამში წინა წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით მიღებული ხმების პროცენტული წილი დაახლოებით 5%-ით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საქალაქო და სასოფლო დასახლებების ჭრილში განხილვისას მკვეთრი კანონზომიერება არ იკვეთება და შესაძლოა ითქვას, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ორივე მათგანის ელექტორატი თანაბრად უჭერს მხარს.



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2021 – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული ხმები მუნიციპალიტეტებში საქალაქო-სასოფლო ამომრჩევლების მიხედვით

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას პოლიტიკურ ასპარეზზე მესამე ძალად წარმოჩინდა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ახლად შექმნილი პარტია „საქართველოსთვის", რომელმაც საერთო ხმების 7,8% მიიღო. გიორგი გახარიამ საჯარო სამსახურში კარიერა 2013 წლიდან ბიზნეს ომბუდსმენად დაიწყო. მოგვიანებით მას ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა, ხოლო 2019 წლის სექტემბერში პრემიერ-მინისტრადაც აირჩიეს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გიორგი გახარია "ქართული ოცნების" სიის პირველ ნომრად დასახელდა და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ხელმეორედ დაიკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი. 2021 წელს „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის დაკავების საკითხზე შიდაპარტიული უთანხმოების გამო მან დატოვა თანამდებობა და ამავე წლის მაისში დააარსა ახალი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ძირითადად მმართველი ძალის ყოფილი წევრები და სხვადასხვა თანამდებობებზე დასაქმებული სახელმწიფო მოხელეები შეუერთდნენ. პარტიამ „საქართველოსთვის" საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია და 63 მუნიციპალიტეტის საკრებულოდან 53-ში მისი კანდიდატები მოხვდნენ.



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2021 "საქართველოსთვის" მიღებული ხმები საარჩევნო ოლქების მიხედვით

„საქართველოსთვის" მხარდაჭერა რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება. მას ყველაზე მეტად სამეგრელოს(14,2%), ხოლო ყველაზე ნაკლებად ჯავახეთის ელექტორატმა დაუჭირა მხარი (3,5%). აღსანიშნავია, რომ იმ მუნიციპალიტეტში, სადაც საქალაქო დასახლებებში 15 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა და აგრეთვე სამეგრელოს რეგიონში, სადაც პარტიამ დიდი მხარდაჭერა მოიპოვა, შედეგების განხილვისას აღმოჩნდა, რომ მას საქალაქო ელექტორატი უფრო მეტად უჭერდა მხარს ვიდრე სასოფლო.



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2021 – „საქართველოსთვის“ მიღებული ხმები მუნიციპალიტეტებში საქალაქო-სასოფლო ამომრჩევლების მიხედვით

პარტიამ „საქართველოსთვის“ წარმატებულად იასპარეზა მსხვილ ქალაქებშიც, რომლებშიც ასევე რიგით მესამე ძალად იყო წარმოდგენილი. უშუალოდ დედაქალაქში კი საერთო ხმების 8,4% მოიპოვა. თბილისში დაფიქსირდა თავისებურება, რომ პარტიის მიღებული ხმების პროცენტული წილი მცირდება ცენტრალურიდან პერიფერიული უბნებისკენ.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „სტრატეგია აღმაშენებელმა“, „პატრიოტთა ალიანსმა“, „ევროპულმა საქართველომ“ და სხვა პატარა პარტიებმა, რომლებმაც ერთი წლის წინ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მოახერხეს მანდატების მოპოვება, როგორც მთლიანობაში ისე ცალკეული საარჩევნო ოლქების მიხედვით მხარდამჭერები ვერ შეინარჩუნეს. მათი უმრავლესობის წარუმატებლობა სავარაუდოდ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე შიდაპარტიულ კრიზისს უკავშირდება. 2017 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების შედეგების განხილვისას განსაკუთრებით თვალსაჩინოა „ევროპული საქართველოსა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდაჭერის კლება. აღნიშნულ არჩევნებში ორივე პარტიამ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოახერხა მანდატების მოპოვება. ქვეყნის მასშტაბით პროპორციული წესით მიღებული ხმების პროცენტული წილით „ევროპული საქართველო“ (10,4%) მესამე, ხოლო „პატრიოტთა ალიანსი“(6,6%) მეოთხე ადგილს იკავებდნენ. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე კი ორივე მათგანის მიღებული ხმების წილი 2%-ს არ აღემატება. პატარა ოპოზიციურ პარტიებს შორის აღნიშნულ არჩევნებზე შედარებით წარმატებულად იასპარეზა

პარტია „ლელომ“, რომელმაც 24 მუნიციპალიტეტის მათ შორის ორი მსხვილი ქალაქის თბილისისა და ბათუმის საკრებულოებში მოიპოვა მანდატები.



საქართველოს 2017 და 2021 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დედაქალაქი საქართველოში კვლავ ერთ-ერთი ყველაზე პლურალისტური საარჩევნო ოლქია. თბილისში „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ მიღებული ხმების პროცენტული წილის ჯამი 68,4%-ია, მაშინ როდესაც ზოგადად საქართველოში და ცალკეული რეგიონების უმრავლესობაში მოცემული მაჩვენებელი 75%-ზე მეტია. შედეგად, დედაქალაქის საკრებულოში ექვსმა პარტიამ მოიპოვა მანდატები.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაფიქსირდა ანომალიური შემთხვევა, კერძოდ დუშეთის(6-მა პარტიამ მოიპოვა მანდატი), ყაზბეგის(7), ცაგერისა(6) და ლენტეხის(8) საკრებულოებში უჩვეულოდ ბევრმა პარტიამ მოიპოვა მანდატები. მაშინ, როდესაც მოცემულ მუნიციპალიტეტებში თბილისისგან განსხვავებით საარჩევნო ბარიერი 0,5%-ით მაღალი იყო.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა შეიძინა და თავისი არსით დაუახლოვდა საპარლამენტო არჩევნებს. მოცემული არჩევნებისას მნიშვნელოვნად

შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტი. მართალია "ქართული ოცნებისა" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერა ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვნად არ შემცირდა და ჯამში კვლავ დაახლოებით 75%-ია, თუმცა პოლიტიკურ ასპარეზზე მესამე ძალად გამოჩნდა პარტია "საქართველოსთვის". აგრეთვე, ტენდენციურად საქართველოს ელექტორატის ქცევაში კვლავ ვლინდება ცენტრი-პერიფერიისა და ქალაქი-სოფლის დაპირისპირებები. პირველი მათგანი გამოიხატება ეთნიკური უმცირესობების ნაწილის მკვეთრად პროსახელისუფლებო დამოკიდებულებაში. ხოლო ქალაქებისა და სოფლების დაპირისპირება გულისხმობს იმას, რომ ქალაქების ელექტორატი ტენდენციურად უფრო ოპოზიციურადაა განწყობილი ვიდრე სოფლების.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არჩევნების შედეგები (2017). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 2017. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია.

  https://archiveresults.cec.gov.ge/results/20171021/index.html

- არჩევნების შედეგები (2020). პარლამენტის არჩევნები 2020. საქართველოს

  საარჩევნო ადმინისტრაცია. https://cesko.ge/geo/elections/2020

- არჩევნების შედეგები (2021). მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნები.

https://archiveresults.cec.gov.ge/results/20211002/#/ka-ge/election_45/dashboard

- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.

(2022). მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის

საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში. ვარშავა.

- Avi Ben-Bassat, M. D. (2012). Social identity and voting behavior. *Public Choice*, 193-201.

- Elff, M. (2007). Social Structure and Electoral Behavior in Comparative Perspective: The Decline of Social Cleavages in Western Europe Revisited. *Perspectives on politics.* Vol. No. 2. pp 277-294.

- Jun'ichi Kyogoku, N. I. (1960). Urban-Rural Differences in Voting Behavior in Postwar Japan. *Economic Development and Cultural Change*, 167-175.

- Shavtvaladze, M. (2018). The State and Ethnic Minorities: The Case of Georgia. *Region*, 65-68.

- მარიამ ლაცაბიძე, თ. წ. (2022). 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირებლო მისია. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

- (2021). 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში. თბილისი.
  https://drive.google.com/file/d/16mA17_JxYRxBejJkdraTG5clw0Mimccn/view